სკოლაში დაბრუნება

ახალი სასწავლო წლის პოზიტიური დასაწყისი

მასწავლებლებისათვის

EDUCATION FOR DEMOCRACY

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

ჩართულობა ონლაინსივრცეში

წვდომა და ინკლუზია

ყოველ ბავშვს აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა ციფრულ ცხოვრებაში შიშისა და გარიყვის გარეშე.

- სკოლაში ერთმანეთს ხვდებიან რადიკალურად განსხვავებული ბექგრაუნდის ბავშვები. კლასში გამართეთ დისკუსია კონკრეტულ სიტუაციებზე დაყრდნობით, როგორც ონლაინ-, ისე ოფლაინცხოვრებიდან.

სწავლა და შემოქმედებითობა

ონლაინსწავლება დღევანდელი განათლების ის განსაკუთრებული ნაწილია, რომელიც ბავშვებს მომავალი გამოწვევებისათვის ამზადებს.

- მოუწოდეთ მოსწავლეებს, კლასის წინაშე წარმოადგინონ თავიანთი ქმნილებები. ჰკითხეთ მათ, თუ როგორ იგრძნობდნენ თავს ვინმეს რომ მიეთვისებინა მათი ნამუშევარი. გამართეთ დისკუსია საავტორო უფლებების თემაზე.

მედია- და ინფორმაციული წიგნიერება

დღევანდელი ინფორმაციული საზოგადოებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ბავშვების კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება.

- კლასში გამართეთ დისკუსია ბიბლიოთეკების საერთაშორისო ასოციაციების ფედერაციის მიერ გამოცემულ პოსტერზე დატანილი 8 პუნქტის თაობაზე „როგორ ამოვიცნოთ ყალბი ახალი ამბები“.

კეთილდღეობა ონლაინსივრცეში

ეთიკა და ემფატია

ბავშვები თანასწორობის, სამართლიანობის, მრავალფეროვნების მიმართ ღიაობისა და ემფატიის შესახებ ყველაზე უკეთ შინ და სკოლაში დანახული მაგალითებით სწავლობენ.

- გააღვიძეთ მოსწავლეებში ემპათია. მოიხმეთ ბოლოდროინდელი ახალი ამბები (წყალდიდობის, ტყის ხანძრების, გვალვის და სხვ.) შესახებ და მიეცით საშუალება მოსწავლეებს გამართონ დისკუსია კატასტროფების მსხვერპლთა გრძნობების შესახებ, ასევე ამ კატაკლიზმების პრევენციის შესახებ.

ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

ასწავლეთ ბავშვებს დაიცვან ბალანსი რეალურ და ვირტუალურ ცხოვრებასა და საშინაო და საგარეო აქტივობებს შორის.

- დაჰყავით მოსწავლეები ჯგუფებად და დაავალეთ მათ პოსტერების შექმნა ერგონომიკისა და ჯანსაღი ონლაინპრაქტიკის შესახებ.

ინტერნეტსივრცეში თავის წარმოჩენა და კომუნიკაცია

ციფრული ტექნოლოგიების დიდი რაოდენობით საგანმანათლებლო მიზნებით გამოყენების პირობებში, ბავშვები მეტად უნდა იყვნენ ინფორმირებულები ეთიკური და კონფიდენციალური ინტერაქციის შესახებ.

- მოსწავლეებთან ერთად შექმენით ნეტიკეტის (ონლაინეტიკეტის) ძირითადი წესების 10 პუნქტიანი ჩამონათვალი.
- დაავალეთ ამოსწავლეებს აწარმოონ ნეტიკეტის ორკვირიანი აღრიცხვა. რომელი წესებია ყველაზე რთულად დასაცავი?

ონლაინუფლებები

აქტიური მონაწილეობა

სკოლა დემოკრატიული საზოგადოების მიკროსამყაროა, სადაც მოსწავლეები მოქალაქეობრივ უნარებს პრაქტიკაში ეუფლებიან და დემოკრატიული თანაარსებობის გამოცდილებას იღებენ.

- მოაყოლეთ მოსწავლეებს საზაფხულო აქტივობების შესახებ (ბანაკების, ვორკშოპების და სხვ.). მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ხაზი გაუსვით აქტიური ჩართულობის ღირებულებასა და სიამოვნებას.

უფლებები და პასუხისმგებლობები

ახალი სასწავლო წელი იდეალური დროა განათლების უფლებაზე სასაუბროდ და სადისკუსიოდ, ასევე იმის დასაზუსტებლად, თუ რამდენად დაცულია სხვების უფლებები.

- შექმენით იმ უფლებებისა და პასუხისმგებლობების სია, რომლებიც მოსწავლეებს გააჩნიათ სკოლაში; ჩაატარეთ დისკუსია იმის თაობაზე, თუ რა სახეს იძენს ზემოხსენებული უფლებები და პასუხისმგებლობები ონლაინსამყაროში.

კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება

იმ ციფრული პლატფორმების უსაფრთხოება და ბავშვთა საჭირებებზე მორგებულობა, რომლებსაც მოსწავლეები სასკოლო საქმიანობისათვის და გასართობად იყენებენ, რეგულარულად უნდა გადამოწმდეს როგორც სკოლების, ისე მშობლების მიერ.

- რეგულარულად განაახლეთ ფილტრები, ფაერვოლები და ანტივირუსები მოსწავლეთა პეროსნალური მონაცემების დამატებითი დაცვისათვის.
- ესაუბრეთ მოსწავლეებს არასასურველ კონტაქტებთან და კონტენტთან გამკლავების, ასევე უარყოფითი ონლაინქცევის შესახებ.

ონლაინუფლებები

სამომხმარებლო ცნობიერება

როდესაც ბავშვებს ახალი სასწავლო წლისათვის ამზადებთ, გაითვალისწინეთ, რომ მოქალაქეობა მოიცავს როგორც ნახშირბადის ნაკვალევზე* ზრუნვას, ისე ვაჭრობის ეთიკური ნორმების დაცვას.

- განუვითარეთ მოსწავლეებს გონივრული (მაგალითად ავტობუსის ბილეთის ყიდვასთან ან საათობრივ ანაზღაურებასთან დაკავაშირებული) სამომხმარებლო უნარები და დაათვლევინეთ მათ სხვადასხვა ტექნოლოგიური გაჯეტის შესაძენად საჭირო თანხები.

ონლაინ- და ოფლაინ გამოცდილებაზე დაყრდნობით, დაეხმარეთ მოსწავლეებს გახდნენ ციფრული მოქალაქეები როგორც სკოლაში, ისე საზოგადოებაში.

ევროპის საბჭოს ციფრულ მოქალაქეობასთან დაკავშირებული სხვა გამოცემები

- Educating for a video game culture – A map for teachers and parents (2021)
- Digital citizenship education – Trainers' Pack (2020)
- Digital Citizenship Education – Lesson plans for educators available at https://www.coe.int/en/web/education/new-materials
- Digital Citizenship Education Handbook (2019)
- Bullying: perspectives, practice and insights (2017)
- Internet Literacy Handbook (2017)

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ აქ:
www.coe.int/education

ავტორები:
Janice Richardson
Veronica Samara

თარგმნა: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

PREMS 120721

KAT

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

www.coe.int

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE